სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება N154

ქ. ბათუმი 26 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ააიპ „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სააგენტოს **დირექტორის ალექსანდრე თევზაძის** სახით და მეორეს მხრივ, შპს "ელდორადო" (მის: ქ. ბათუმი **იმედაშვილის** ქ. N 21.) (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ელდარ გორგილაძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრუ-ლების საგანი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ავეჯის აქსესუარები.ცოცხები,ჩორჩხები,იატაკის ჯოხები და სხვა. შესყიდვის(CPV39200000). კერძოდ: სხვადასხვა ვედროები და სათლები. თოკები, შესყიდვის(CPV39500000).

შემსყიდველი

მიმწოდებელი

---

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება საერთო ჯამში შეადგენს 317.40 (სამასჩვიდმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანადაფინანსების თავისებურებათა გათვალისწინებით.

3.3 საქონლის ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად მინიჭებული და გაწეული **საქონლის** შესაბამისად, მიღება ჩაბარების აქტით და სხვა სათანადო დოკუმენტაციით(სასაქონლო ზედნადები,ანგარიშფაქტურა).

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საქონლის** მიწოდების შემდეგ.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტისა და მომსახურების/სასაქონლო ზედნადების ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. **საქონლის** ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მომსახურების მიწოდება ხდება მიმწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- მიწოდებული საქონლის დასახელება;
- მიწოდებული საქონლის ღირებულება;
- მიწოდებული საქონლის მოცულობა.

შემსყიდველი

_____

მიმწოდებელი

_____

448391268
GEORGIA "ELDORADO"

5.4. შემსყიდველი მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს – **თამაზ ხუხუნი, ააიპ** " ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო''-ს **საწყობის გამგე.**

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა.

6.1.საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი ა. წერეთლის ქ. N2.

6.2. **საქონლის** მიწოდება **უნდა** დასრულდეს **არაუგვიანეს 2016 წლის 06 ნოემბრისა.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) **საქონლის** მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებულის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრუ-ლებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს საჭიროებისამებრ შესაბამისი კომსულტაციების გაწევა მიმწოდებლისათვის მომსახურების მიწოდების პროცესში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებულის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს მომასხურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.2, და 6.2 პუნქტებში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

შემსყიდველი

მიმწოდებელი

---

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების მიწოდების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სამსახურის ფინანსური მენეჯერი ზვიად გოგიტიძე და შესყიდვების მენეჯერი მინდია მახარაძე.

9.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პიგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშე-თანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინაღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევში, დავის

შემსყიდველი

მიმწოდებელი

გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრამდე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

ააიპ"ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო"	შპს"ელდორადო"
მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის 25	მისამართი: ქ. ბათუმი, იმედაშვილის ქ. N 21
საიდენტიფიკაციო კოდი: 445475405	საიდენტიფიკაციო კოდი: 448391268
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს ,,თიბისი ბანკი"
სახაზინო კოდი: 03 04 04	კოდი: TBCBGE 22
სარეკრიაციო ინფრასტრუქტურის მართვა	ანგარიში: GE73TB7879636080100002
დირექტორი:	**დირექტორი:**
ალექსანდრე თევზაძე	**ელდარ გორგილაძე**

შემსყიდველი

_____

მიმწოდებელი

_____